დამტკიცებულია; შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2019 წლის 2 მაისის N 01-16 ბრძანებით

შეტანილია ცვლილება: შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N 01-08 ბრძანებით

შეტანილია ცვლილება: შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2022 წლის 25 დეკემბრის N 01-29 ბრძანებით

შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი

მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას ქ. 32

ტელ: +995 577 43 03 70

ვებ-გვერდი: www. ckhum. edu. ge; ელ-ფოსტა: info@ckhum. deu.ge

ზუგდიდი

1.**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება :** აღმზრდელი

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - 02117-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში / Higher Vocational Qualification in Preschool Education."

4. **მიზანი**

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას.

ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

5. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** :

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

6. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

7. **პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: 3 ზოგადი სავალდებულო მოდულისაგან, ჯამში 11 კრედიტის მოცულობით,პროფესიული / დარგობრივი მოდულისაგან, ჯამში 105 კრედიტის მოცულობით, სულ- პროგრამა შეადგენს 116 კრედიტს.

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია:

მოცულობა: 116 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია:

მოცულობა: 146 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 26 სასწავლო თვე

8, სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი სავალდებულო მოდულები

N	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	საბაზო განათლება	5
2	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
	ჯამი		11

პროფესიული მოდულები

N	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	2
2.	პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	12
3.	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	5
4.	პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	**3**
5.	ბავშვის განვითარების თავისებურებები	სრული ზოგადი განათლება	**4**
6.	ადრეული განათლების კურიკულუმები	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ბავშვის განვითარების თავისებურებები	**5**
7	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები	**6**
8	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**3**
9	ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	**3**
10	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	სრული ზოგადი განათლება	**6**
11	თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები	**2**
12	საგანმანათლებლო გარემო	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	**8**

13	ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**2**
14	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	•შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში •ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები	**9**
15	კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია • საგანმანათლებლო გარემო • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაშ	**4**
16	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია • საგანმანათლებლო გარემო • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	**5**
17	წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**3**
18	სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	• შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**3**
19	პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	• შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**3**
20	მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**4**
21	კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში • საგანმანათლებლო გარემო	**5**

22	კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**3**
23	ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითრების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**2**
24	მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითრების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	**3**
25	**ჯამი**		105

9. სწავლის შედეგები

აღმზრდელის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

• ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

• მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;

•ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;

• წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს კოლეჯ ცხუმ-ეგრისის მიერ

11 . სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მიენიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა)წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში ან პროგრამის დასრულებამდე. ხოლო წინაპირობის მქონე მოდულების შემთხვევაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

სკოლამდელ აღზრდაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები

ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ქართული ენის კომპეტენცია დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ან პირს, რომელსაც გავლილი აქვს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტს.

14. სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- საქართველოს კანონი – „პროფესიული განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;
- „ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტის“ პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 18 სექტემბრის №594 ბრძანება.

15. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული (კოოპერაციული) სწავლების ფორმით

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი:

ზოგადი მოდულები

დანართი № 1 - მოდული - უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი № 2 - მოდული - მეწარმეობა 3

დანართი № 3 - მოდული - ინფორმაციული წიგნიერება 2

პროფესიული მოდულები

დანართი № 4 - მოდული - გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება

დანართი № 5 - მოდული - პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება

დანართი № 6 - მოდული - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში

დანართი № 7- მოდული - პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი № 8 - მოდული - ბავშვის განვითარების თავისებურებები

დანართი № 9 - მოდული- ადრეული განათლების კურიკულუმები

დანართი №10 - მოდული- დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი №11 - მოდული - დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №12 - მოდული - ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი №13 - მოდული - ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

დანართი №14 - მოდული - თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი №15 - მოდული - საგანმანათლებლო გარემო

დანართი №16 - მოდული - ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №17 - მოდული - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია

დანართი №18 - მოდული - კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №19 - მოდული - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში.

დანართი №20 - მოდული - წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №21 - მოდული - სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №22 - მოდული - პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №23 - მოდული - მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №24 - მოდული - კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №25 - მოდული - კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

დანართი №26 - მოდული -ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი №27 - მოდული - მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში

ქართული ენა

დანართი № 28 - მოდული - ქართული ენა A2

დანართი № 29 - მოდული - ქართული ენა B1

დანართი № 30 - სასწავლო გეგმა;

დანართი № 31 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

დანართი № 32 - მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

დანართი № 33 - -ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ